



საქართველო



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45

GEORGIA, SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY, №45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ.ზუგდიდი

2.11.2018 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №114

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, უვადოდ სარგებლობის უფლებით ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ბიბლიოთეკების მართვის ცენტრისათვის“ (ს/კ 420427014) გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 242-246 მუხლების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-5 პუნქტების შესაბამისად და ზუგდიდის მუნიციპალიტეტი მერის 2018 წლის 19 ოქტომბრის N02/11683 წერილის საფუძველზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქი ზუგდიდი, კოსტავას ქ. №58-ში მდებარე შენობა-ნაგებობა №1-ში, მეორე სართულზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 585,10კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №43.31.49.116.01.507), ქალაქი ზუგდიდი, კოსტავას ქ. №58-ში მდებარე შენობა-ნაგებობა N1-ში, მესამე სართულზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 71.21კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი (ამერიკული კუთხის გაფართოების მიზნით) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №43.31.49.116.01.516)) და ქალაქი ზუგდიდი, გორის ქ.№2-ში მდებარე მე-3 კორპუსის პირველ სართულზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 90.20კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №43.36.03.024.01.500) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, უვადოდ სარგებლობის უფლებით გადაეცეს ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ბიბლიოთეკების მართვის ცენტრს“.

2. საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს აღნიშნული განკარგულების გადაგზავნა მუნიციპალიტეტის მერისთვის.

3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. №12).

საკრებულოს თავჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი:



ბესიკ ჭყეია